

ქაკ ლე გოფი

ევროპის
დაბადება

დინამიკა
NONFICTION

ჟაკ ლე გოფი
ევროპის დაბადება

Jacques Le Goff
L'EUROPE EST-ELLE NÉE AU MOYEN-ÂGE

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



მწერალთა
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის და საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით.

© Éditions du Seuil, Octobre 2003

Georgian edition published by arrangement with Eulama Lit. Ag.

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2024

ყველა უფლება დაცულია.

This Book is part of the International Series THE MAKING OF EUROPE of which Jacques Le Goff is the General Editor and C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung in Munich/Germany, Blackwell Publishers in Oxford/England, Editorial Critica in Barcelona/Spain, Gius. Laterza & Figli in Rome/Italy, Editions du Seuil in Paris/France are the Original Publishers.

ISBN 978-9941-11-879-1

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

მადლობა

მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის *Le Seuil*-ს, რომელმაც წიგნი უზადო კომპეტენტურობით, გონიერებით, ჩართულობითა და რუდუნებით მოამზადა. ვგულისხმობ ნიკოლ გრეგუარს, რომელთან მუშაობა ჩემთვის გამორჩეულად სასიამოვნო იყო, აგრეთვე გრეგუარ მონტეისა და კატრინ რამბოს.

განსაკუთრებით ვუმადლი ჩემს ძვირფას მეგობრებსა და კოლეგებს, რიშარ ფიგიესა და ჟან-კლოდ შმიტს, რომლებმაც ამ წიგნის ხელნაწერი წაიკითხეს. მათმა კრიტიკულმა შენიშვნებმა და საგულისხმო რჩევებმა უდიდესი სამსახური გამინია. ასევე ფასდაუდებელი გახლდათ ჟაკ ბერლიოზის მუდმივი მეგობრული მხარდაჭერა. და ბოლოს, სივრცისა და კარტოგრაფიის საკითხებში განუვლი დახმარებისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდის პატრიკ გოტიე-დალშეს, შუა საუკუნეების გერმანისტიკის საკითხებში დახმარებისათვის კი – პიერ მუნეს.

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
შესავალი	11
პრელუდია: შუა საუკუნეებამდე	19
თავი I	
ევროპის პირველსახის მონახაზი IV-VIII საუკუნეები	31
თავი II	
შეუძღვარი ევროპა: კაროლინგების სამყარო VIII-X საუკუნეები.....	55
თავი III.	
ევროპა, როგორც ოცნება და პოტენციური შესაძლებლობა მეთასვე წელი. ოტოს იმპერიული ევროპა.....	71
თავი IV	
ფეოდალური ევროპა XI-XII საუკუნეები	85
თავი V	
ქალაქებისა და უნივერსიტეტების მშვენიერი ევროპა XIII საუკუნე ევროპის წარმატებები XIII საუკუნეში.....	162
თავი VI	
შუა საუკუნეების შემოდგომა თუ ახალი დროის გაზაფხული?.....	248
დასკვნა	309
ქრონოლოგია.....	321
რჩეული თემატური ბიბლიოგრაფია	341

წინასიტყვაობა

ევროპა შენდება. ეს დიდი იმედია. იმედი ხორცს მხოლოდ ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების პირობით შეისხამს: უისტორიო ევროპა ხომ ობლად მდგომ, ფესვებგამხმარ ხეს დაემსგავსებოდა. დღევანდელი გუშინდელიდან მომდინარეობს, მომავალი კი ყოველთვის წარსულითაა განპირობებული, წარსულით, რომელმაც აწმყო კი არ უნდა დააკნინოს, არამედ ტრადიციებისადმი ერთგულებითა და სიახლეებისა და პროგრესისაკენ სწრაფვით მის განვითარებას შეუწყოს ხელი. ჩვენი ევროპა, ატლანტის ოკეანეს, აზიასა და აფრიკას შორის მდებარე ტერიტორია, უკვე დიდი ხანია, არსებობს. მისი საზღვრები გეოგრაფიამ ჩამოაყალიბა, მის ახლანდელ იერსახეს კი ისტორია ქმნიდა იმ დროიდან, როცა ბერძნებმა დაარქვეს დღემდე უცვლელი სახელი. მომავალი იმ მემკვიდრეობას უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური თუ უფრო ადრინდელი – პრეისტორიული – დროიდან იქმნებოდა და რომელმაც ევროპა, თავისი ერთიანობითა და მრავალფეროვნებით, გამორჩეული შინაგანი სიმდიდრის, არაჩვეულებრივი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე სამყაროდ გადააქცია.

სერია „ევროპის შექმნა“ სხვადასხვა ქვეყნის ხუთი გამომცემლობის – მიუნხენური Beck-ის, ოქსფორდული Basil Blackwell-ის, ბარსელონური Critica-ს, რომაული Laterza-სა და პარიზული Le Seuil-ის – ერთობლივი ინიციატივის პროდუქტია. მისი მიზანია ევროპის მშენებლობის გაშუქება მემკვიდრეობით გადმოცემული სირ-

თულებების აღიარებასა და უდავო წარმატებების წარმოჩენასთან ერთად. ერთიანობისკენ სწრაფვის გზაზე ჩვენმა კონტინენტმა არაერთ უთანხმოებას, კონფლიქტს, დაპირისპირებას, შინაგან წინააღმდეგობას გაუძლო. ეს სერია მათ მიჩქმალვას არ შეეცდება: ევროპული წამოწყების ერთგულება მხოლოდ მთელი მისი წარსულის ცოდნითა და მომავლის პერსპექტივის წარმოდგენითაა შესაძლებელი. სერიის სახელწოდებაც ამან განაპირობა. ევროპის სინთეზური ისტორიის დანერის დრო ჯერ არ დამდგარა. ამ სერიის ესეები ევროპელი თუ არაევროპელი, უკვე აღიარებული თუ ნაკლებად ცნობილი საუკეთესო თანამედროვე ისტორიკოსების კალამს ეკუთვნის. ისინი ევროპის ისტორიის ძირითადი საკითხების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ, კულტურულ ასპექტებს მიმოიხილავენ, ერთი მხრივ, ჰეროდოტესეულ უძველეს ისტორიოგრაფიულ ტრადიციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, XX საუკუნის ევროპაში შემუშავებულ იმ ახალ კონცეფციებზე დაყრდნობით, რომლებმაც ძირეულად შეცვალა ისტორიული მეცნიერება, განსაკუთრებით, უკანასკნელ ათწლეულებში. აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, სერიის ესეები მკითხველთა ფართო მასებისათვის მაქსიმალურად გასაგები იქნება.

ჩვენი მიზანია, ნაწილობრივ მაინც ვუპასუხოთ ევროპის ახლანდელი თუ მომავალი აღმშენებლებისა და მისი ბედ-იღბლით დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის საჭირობოროტო კითხვებს: „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? საით მივდივართ?“

ჟაკ ლე გოფი

შესავალი

ნებისმიერი ისტორიული წიგნი, წარსულის ძალზე შორეულ პერიოდსაც რომ ეხებოდეს, მაინც დღევანდელობას უკავშირდება. ეს წიგნი, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ამჟამინდელ ვითარებას ეხმიანება. მას 2002-2003 წლებში ვნერ, ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოთი ევროკავშირის გაფართოების პერიოდში. მნიშვნელოვანია, რომ წიგნი ქვეყნდება სერიაში „ევროპის შექმნა“: ეს ხუთი სხვადასხვაენოვანი გამომცემლობის ერთობლივი ინიციატივაა ერთიანი კულტურული სივრცის შექმნაში წვლილის შესატანად. სერიის სახელწოდება „ევროპის შექმნა“ ასახავს გამომცემლებისა და ავტორების სურვილს, ისტორიული ქვეყნების პატივისცემა დაადასტურონ და ერთიანი ევროპის აღმშენებლობის გარემოებები ისტორიკოსის მიუკერძოებლობით გადმოსცენ.

ამ ნაშრომს ყოვლისმომცველობის პრეტენზია არ აქვს. აქ შუა საუკუნეების ისტორიის თანამიმდევრულ განხილვასა და ამ ისტორიის ძირითადი ასპექტების სრული სურათისა თუ დეტალების განმარტებას ვერ ნახავთ.

მისი მიზანი იმ იდეის დასურათებაა, რომ ევროპის, როგორც რეალობისა და ცნების, წარმოშობისა და გენეზისის ეპოქა შუა საუკუნეებია. შუა საუკუნეებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ევროპის დაბადებაში, ბავშვობასა და ყრმობაში ისე, რომ იმდროინდელ ადა-

მიანებს ერთიანი ევროპის აშენება აზრად არ მოსვლიათ და გულშიც არ გაუვლიათ. ევროპის ერთიანობის შესახებ მკაფიო წარმოდგენა მხოლოდ პაპ პიუს II-ს (ენეა სილვიუს პიკოლომინი, პაპი 1458-დან 1464 წ-მდე) ჰქონდა. 1458 წელს მან დაწერა ნაშრომი *ევროპა*, 1461 წელს კი – *აზია*. ეს ევროპასა და აზიას შორის დიალოგის მნიშვნელობას გვახსენებს. შუა საუკუნეების, როგორც ევროპის დაბადების ეპოქის, საკითხი ფართოდ განიხილებოდა მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგ, ევროპის ბედ-იღბალზე სერიოზულად დაფიქრებისა და ევროპული მასშტაბის ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური პროექტების განხორციელების პერიოდში. ევროპული „იდეა“ ყველაზე ნათლად XVI საუკუნის ისტორიის ორი თანამედროვე მკვლევრის ნაშრომებშია ჩამოყალიბებული, ესენია: ბრიტანელი დენის ჰეის *Europe. The Emergence of an Idea* (1957 წ.) და იტალიელი ფედერიკო შაბოს 1943-1944 და 1947-1948 წლების საუნივერსიტეტო კურსების მიხედვით შექმნილი *Storia dell'idea d'Europa* (1961 წ.), თუმცა იდეა ევროპის შუა საუკუნეებში დაბადების შესახებ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე შემოგვთავაზეს დიდმა ფრანგმა ისტორიკოსებმა, ისტორიოგრაფიისთვის ახალი სუნთქვის შთამბერავი ჟურნალის, *Annales*-ის, დამფუძნებლებმა – მარკ ბლოკმა და ლუსიენ ფევრმა. მარკ ბლოკი წერდა: „ევროპა მაშინ წარმოიშვა, როდესაც რომის იმპერია დაემხო“, ლუსიენ ფევრი კი დასძენდა: „უმჯობესია ითქვას, რომ ევროპის დაბადება იმპერიის დანაწევრებამ გაახდა შესაძლებელი“. 1944-1945 წლებში კოლეჟ დე ფრანსში ნაკითხული სალექციო კურსის ერთ-ერთ თავში, რომელსაც „პირველი გაკვეთილი“ ჰქვია (*ევროპა. ცივილიზაციის დაბადება*, გვ. 44), ლუსიენ ფევრი აღნიშნავდა: „მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში (შუა საუკუნეების დასრულების მომენტი კი ღრმადაა შეჭრილი „ახალ დროში“) ქრისტიანული ცივილიზაციის დიადი იდეები, რომლებიც კონკრეტულად არც ერთი ნიადაგიდან არ ამოზრდილან, რეგულარულად მიმოიქცეოდნენ, კვეთდნენ დანაწევრებული სამეფოების პირობით საზღვრებს და ქრისტიანობის მძლავრი ზემოქმედება დასავლეთის მცხოვრებთ, მათი გამყოფი საზღვრების მიუხედავად, ერთიან ცნო-

ბიერებას უყალიბებდა, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო სეკულარული ხდებოდა და ევროპულ მსოფლმხედველობად იქცეოდა“.

მარკ ბლოკი შუა საუკუნეების შესახებ ევროპულ ხედვას გვთავაზობს. ეს იდეები მან 1928 წელს ოსლოში, ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესზე ჩამოაყალიბა მოხსენებაში „ევროპული საზოგადოებების შედარებითი ისტორიისათვის“, რომელიც იმავე წლის დეკემბერში *Revue de synthèse historique*-ში გამოქვეყნდა. „ევროპული საზოგადოებების შედარებითი ისტორიის სწავლების პროექტს“ იგი 1934 წელს მიუბრუნდა კოლეჟ დე ფრანსისთვის საკუთარი კანდიდატურის წარდგინების ტექსტში. აქ ბლოკი წერდა: „ევროპული სამყარო, როგორც ასეთი, შუა საუკუნეების წარმონაქმნია, რომელმაც ერთი დარტყმით დაამსხვრია ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ფარდობითი მთლიანობა და ერთ ბრძმედში მოაქცია ოდესღაც რომის ძალაუფლების ქვეშ მოხვედრილი და იმპერიის მიერ ვერდაპყრობილი ხალხები... ევროპა სწორედ მაშინ დაიბადა ამ სიტყვის პირველსაწყისი მნიშვნელობით... და მას შემდეგ ევროპულ სამყაროს მუდმივად საერთო მიმდინარეობები და ტენდენციები მოიცავდა“¹.

ევროპის ეს კონტურები და მოვლენები, რომლებმაც წინასწარ განსაზღვრა XVIII საუკუნის ევროპის რაობა (ფრანგულ ენაში ზედსართავი სახელი *européen* – ევროპელი – 1721 წელს ჩნდება, ხოლო გამოთქმა *à l'européenne* – ევროპულად – 1816 წელს), წრფივ პროცესს არაფრით ჰგავს და არც იმ აზრის ლეგიტიმაციის საფუძველს იძლევა, რომ ერთიანი ევროპის იდეა შეფარულად იყო ჩადებული მის გეოგრაფიასა და ისტორიაში. ევროპას დღემდე სჭირდება შექმნაცა და გააზრებაც. წარსული გვაძლევს მიმართულებას, მაგრამ კონკრეტულად არაფერს გვახვევს თავს, ასე რომ, აწმყოს თანამიმდევრულ განვითარებას დიდწილად შემთხვევითობა და ადამიანის თავისუფალი არჩევანი განსაზღვრავს.

¹ M. Bloch, *Histoire et Historiens*, Paris, Armand Colin, 1995, პ. 126.

ვეცდებით, ნაშრომში გამოვკვეთოთ შუა საუკუნეების დროინდელი ევროპის კონტურები და მოვლენები, რომლებმაც ასე თუ ისე შეცვალა ეს პირველსაწყისი კონტურები, თუმცა მართებული არ იქნება, თუ ამ ყველაფერს გამარჯვებებისა და დამარცხებების თანამიმდევრულ პროცესად წარმოვადგენთ.

ვეცდებით აგრეთვე დავამტკიცოთ, რომ ეს საუკუნეები (IV-XV სს.) გადამწყვეტი იყო ევროპის განვითარებისთვის და რომ მთელი ევროპული მემკვიდრეობიდან, რომელმაც გავლენა მოახდინა წარსულში და არანაკლები გავლენა ექნება მომავალშიც, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ შუა საუკუნეების მემკვიდრეობაა.

შუა საუკუნეებში ევროპაში ერთდროულად მოიყარა თავი რამდენიმე პრობლემურმა ფაქტორმა, რომელთაგან ზოგიერთი წინა პერიოდიდან იყო გადმოყოლილი, ზოგი კი – ახლად წარმოშობილი, მათ შორის, პოტენციური ერთიანობისა და ფუნდამენტური სხვაობის თანაარსებობა, მოსახლეობის აღრევა, დაპირისპირება ცალკე – დასავლეთ-აღმოსავლეთს და ცალკე – ჩრდილოეთ-სამხრეთს შორის, აღმოსავლეთ საზღვრის გაურკვეველობა, კულტურის, როგორც გამაერთიანებელი საწყისის, პრიორიტეტული როლი. წიგნში შევეხებით როგორც ეგრეთ წოდებულ ისტორიულ ფაქტებს, ისე მენტალობასთან დაკავშირებულ მოვლენებს. შუა საუკუნეებში არნახული სიჩქარით ყალიბდება მენტალური სურათხატები, ადამიანის წარმოსახვის სფერო, რაც ევროპის – როგორც რეალობისა და იდეის – შექმნის პროცესის არსებითი მახასიათებელია. ამ წიგნის კითხვის დაწყებისთანავე უნდა გავაცნობიეროთ, რომ შუა საუკუნეებში საზღვრის ცნება რეალობასა და წარმოსახვას შორის მერყეობს. აღარ არსებობს რომის იმპერიის მიერ უზარმაზარ მანძილზე გავლებული მკაფიო ზოლი სასაზღვრო გალავნის სახით, ისევე, როგორც საზღვარი ამიერ და იმიერ სამყაროთა შორის. იაკობის კიბე, რომელზეც ადამიანები და ანგელოზები ადი-ჩადიან და ერთმანეთს ხვდებიან, შუა საუკუნელებისთვის ჩვეულებრივი რამაა. თანამედროვე, ხაზოვანი ტიპის საზღვრები, თავიანთ საკონტროლო პოსტებთან თუ გამყოფ პუნქტებთან ერთად, შუა საუკუნეების საკმაოდ

გვიანდელ პერიოდში – სახელმწიფოების ჩამოყალიბების მომენტში – შეიქმნა და ისიც – ალაგ-ალაგ. საბაჟოებიც მხოლოდ XIII და XIV საუკუნეების გასაყარზე შემოიღეს, ეკონომიკის გამოცოცხლებასა და მისი მეტ-ნაკლებად ეროვნული ფორმების შექმნასთან ერთად. XIII საუკუნის ბოლოს ფრანგულ ლანგედოკთან რუსილიონის მიერთება, ასევე, პორტ კოლიურში (საფრანგეთის ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველაზე შორეულ წერტილში) კატალონიელ ვაჭრებს, არაგონის მეფესა და მაიორკის მეფეს შორის კატალონიურ საქონელზე ბაჟის გაზრდის გამო ატეხილი კონფლიქტები მეტყველებს, მსგავსი დაპირისპირების ფონზე თანდათანობით როგორ ყალიბდებოდა შუა საუკუნეებში საზღვრები. მედიევისტებმა სამართლიანად უარყვეს საზღვრის ამერიკული კონცეფცია (რომელიც ისტორიკოსმა ტერნერმა შეიმუშავა შორეულ დასავლეთთან მიმართებით), რადგან ის ევროპის ისტორიას არ მიესადაგება. ისინი აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდამდე, სანამ სახელმწიფოების ჩამოყალიბება დაიწყებოდა, საზღვრების როლს ასრულებდა შეხვედრების ან დაპირისპირების ადგილები, ასევე, გაცვლა-გამოცვლისა და ურთიერთშერევის ზონები, რომლებიც IX საუკუნის დასაწყისში კარლოს დიდმა სასაზღვრო ოლქებად, მარკებად, აქცია. შუა საუკუნეების ევროპისთვის მათი მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. როგორც ჟან-ფრანსუა ლემარინიემ გვაჩვენა, მარკებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალიზმის ინსტიტუტისთვის: ამ ადგილზე გავლენიანი ვასალი ერთგულების ფიცს დებდა თავისი სენიორის წინაშე და შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ ბუნდოვანმა და ადვილად გადასალახავმა ფსევდოსაზღვრებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ევროპის ხალხების აღრევას. რაც შეეხება მდინარეებს, რომლებიც ხშირად ასრულებდა საზღვრების როლს, ისინი ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხელისუფალთა (მაგალითად, საღვთო რომის იმპერატორისა და საფრანგეთის მეფის) შეხვედრის ადგილები უფრო იყო, ვიდრე ე.წ. „დენადი კედლები“. ჯერ დასავლეთ ფრანკთა სამეფოს, შემდეგ კი საფრანგეთს, აღმოსავლეთიდან ოთხი მდინარე შემოსაზღვრავდა: შელდა, მეზი, სონა და რონა. დანიელ ნორდმანმა შენიშ-

ნა, რომ ფრუასარი, XIV საუკუნის მემატიანეთაგან სულით ყველაზე „ევროპელი“, იმის აღსანიშნად, რასაც ჩვენ საზღვარს ვუნოდებთ, სიტყვა *marche*-ს მიმართავს, ხოლო სიტყვა *frontière*-ს ომში ფრონტის ხაზის აღსანიშნად იყენებს.

სანამ შუა საუკუნეებში ევროპის საძებრად გავეშურებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროსაც და უფრო მოგვიანებითაც მას სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიებდნენ. როგორც უკვე დავინახეთ და კიდევ არაერთხელ ვნახავთ, ევროპის ცნებას აზიას და, უფრო ფართო გაგებით, აღმოსავლეთის ცნებას უპირისპირებდნენ. შესაბამისად, ცნება „დასავლეთი“, მიახლოებით, ევროპას უნდა მიესადაგებოდეს და თუმცა ამ გაგებით იგი შუა საუკუნეებში დიდად არ გამოიყენებოდა, ადამიანთა ცნობიერებაში მის დამკვიდრებას ქრისტიანული სამყაროს ბიზანტიურ და ლათინურ, ანუ აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის – იმპერიებად გაყოფამ შეუწყო ხელი. რომის იმპერიის დაშლის შემდგომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის გაჩენილი ეს ბზარი შუა საუკუნეებში კიდევ უფრო გაღრმავდა და ღრმა ენობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ განხეთქილებად იქცა. რომაული ქრისტიანული ევროპის „დასავლურ“ ხასიათს, რომელმაც ახლანდელი ევროპის საფუძვლები განსაზღვრა, ხაზს უსვამს XII და XIII საუკუნეების ზოგიერთი ქრისტიანი ინტელექტუალის მიერ შემუშავებული თეორია. ეს იყო ძალაუფლებისა და ცივილიზაციის ცენტრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადაანაცვლების იდეა: *Translatio imperii, translatio studii*, რაც ძალაუფლების – ბიზანტიის იმპერიიდან გერმანული იმპერიისკენ, ხოლო ცოდნისა – ათენიდან და რომიდან პარიზისკენ გადატანას გულისხმობდა. ცივილიზაციის დასავლეთისკენ მოძრაობამ ამკარად შეუწყო ხელი დასავლეთ ევროპის კულტურული უპირატესობის იდეის წარმოშობას, რომელსაც მომდევნო საუკუნეებში მრავალი ევროპელი იზიარებდა.

გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, ამგვარი წარმოდგენები ქრისტიანობის არსებობის ადრეული საუკუნეებიდან არ მომდინარეობს. მართალია, კარლოს დიდის ეპოქაში უკვე ახსენებ-

დნენ ქრისტიანულ იმპერიას, მაგრამ ცნება „ქრისტიანული სამყაროს“ გამოყენება იმ ტერიტორიის აღსანიშნავად, რომელიც მომავალში ევროპად იქცა, მხოლოდ XI საუკუნის ქრისტიანული დაპყრობების პერიოდიდან დაიწყო – მას შემდეგ, რაც გატარდა ეგრეთ წოდებული გრიგორიანული რეფორმა, ამოქმედდა კლუნის დიდი რელიგიური ორდენი და დაიბადა ჯვაროსნული ლაშქრობების იდეა. ტერმინმა „ქრისტიანული სამყარო“ შესაძლოა, გაუგებრობა გამოიწვიოს. ევროპის შექმნასა და უნიკალური ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბებაში ქრისტიანობის ფუნდამენტური როლის უარყოფას არავინ აპირებს. ევროპაში განმანათლებლური და სეკულარული იდეების გავრცელების შემდეგაც კი ქრისტიანული საწყისი – აშკარად თუ ფარულად – კვლავინდებურად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. თუმცა ქრისტიანობა იყო მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ეპიზოდი ისტორიისა, რომელიც ქრისტიანობამდე დაიწყო და მისი დაკნინების შემდეგაც გრძელდება. ხოლო იმის სადემონსტრაციოდ, თუ რაოდენ შეფარდებითია სახელწოდებები, გავიხსენოთ, რომ მუსლიმები ქრისტიანებს, ზოგადად, „ფრანკებად“ მოიხსენიებდნენ, ისევე როგორც ქრისტიანები უხმოზდნენ მათ „სარკინოზებს“ (ერთ-ერთი არაბული ტომის სახელი, რომელიც ჯერ ბიზანტიელებმა, შემდეგ კი დასავლელებმა მიუსადაგეს მუსლიმებს); ასევე გავრცელებული იყო შავკანიანები ან მავრები („Morisco“) (ეს ტერმინი შემოგვრჩა ესპანელებისგან, რომლებიც ასე ეძახდნენ მუსლიმებს).

თუ ამ წიგნის სათაურის თანახმად, ევროპის ისტორიაზე გვსურს საუბარი, ჯერ თავად ტერმინ „ევროპის“ ისტორია უნდა გავარკვიოთ, რადგან ისტორიკოსებს, შუა საუკუნეების სასულიერო პირების მსგავსად, მიაჩნიათ, რომ მოვლენის არსს მისი სახელი განსაზღვრავს. ღმერთმა ეს შესაქმეში გვაჩვენა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა განმავლობაში თვით ყველაზე მტკიცედ დამკვიდრებული სახელწოდებებიც კი დავიწყებებს ეძლეოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის, ვისაც ან რასაც (პიროვნება იქნებოდა ეს თუ მოვლენა) ეს სახელი ერქვა, გარკვეული აზრით, წარმავალი იყო.

პრელუდია: ზუა საუკუნეებამდე

ევროპის ისტორია ისტორიკოსსა და მის მკითხველებს აიძულებს, სიტუაცია გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილონ, არ შემოიფარგლონ მხოლოდ IV-XV საუკუნეების პერიოდით (შუა საუკუნეების ტრადიციული საზღვრებით), რადგანაც იმდროინდელი ევროპის მონახაზის განხილვისას აუცილებელია წინა თაობების მემკვიდრეობის გათვალისწინება, რომელიც შუა საუკუნეებმა პოტენციურ ევროპულ ცნობიერებაში აღბეჭდა. ევროპის ფორმირებაზე შუა საუკუნეების დიდი გავლენა ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ იგი წარსულის მემკვიდრეობის პასიური გადაცემით არ შემოიფარგლულა. ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა წარსულის ერთგვარი კონცეფცია, საიდანაც შერჩევით, შეგნებულად და მიზანმიმართულად შენარჩუნდა არსებითი ნაწილი, რომელიც მომავალს დაედო საფუძვლად. შუა საუკუნეები, ფართო გაგებით, ანტიკურ ეპოქასთან დამაკავშირებელი ხიდი იყო. პრეისტორიის შესწავლაში ბოლოდროინდელი წინსვლის მიუხედავად, იმის გასარკვევად, თუ რა გადასცა შუა საუკუნეებმა მომავალს პრეისტორიული მემკვიდრეობიდან, საჭირო იქნებოდა კვლევა, რომლისთვისაც არც კომპეტენცია მეყოფა და არც ადგილი ამ ესეში, თუმცა აღვნიშნავ, რომ პრეისტორიის ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა მახასიათებელმა ევროპაში შუა საუკუნეებში პოვა გამოძახილი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი როლი

(იმდროინდელი ელემენტარული სასოფლო-სამეურნეო ჩვევებიც კი შუამდინარული პრეისტორიიდან მომდინარეობდა), ასევე მესაქონლეობის განვითარება, განსაკუთრებით, ხმელთაშუაზღვისპირეთში, და მეტალების გამოყენება, რამაც შუა საუკუნეების ევროპაში მეტალების დამუშავების მეთოდების წარმოშობას შეუწყო ხელი (პირველად აქ ისინი ბარბაროსებმა შემოიტანეს). თავიდან რკინას იარაღის, განსაკუთრებით, დაპყრობით ომებში გამარჯვების საწინდრის – ორლესური ხმლების – დასამზადებლად იყენებდნენ. მოგვიანებით სწორედ ამან განაპირობა შუასაუკუნეობრივი ცივილიზაციის წარმატება არა მარტო საომარი შეიარაღების, არამედ სამუშაო იარაღების წარმოების განვითარებაშიც.

გეოგრაფია

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის მიერ მიღებული მემკვიდრეობის ჩამონათვალში პირველ ადგილზე გეოგრაფიული მოცემულობაა. განვიხილოთ ის გეოგრაფიული პირობები, რომლებშიც შუა საუკუნეების ადამიანებს მოუხდათ ცხოვრება და რომლებიც მათ ევროპის საკეთილდღეოდ გამოიყენეს. ევროპა ევრაზიის კონტინენტის განაპირა ნაწილია. მისი ტერიტორია ნიადაგისა და რელიეფის მრავალგვარობით გამოირჩევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი – მრავალფეროვნება – გეოგრაფიის დამსახურებაა. თუმცა ამავდროულად ევროპის გაერთიანების ხელშემწყობი გეოგრაფიული ფაქტორებიც არსებობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდ ფართობზე გადაჭიმული დაბლობებია, რაც შუა საუკუნეებში მარცვლეული კულტურების მოყვანას უწყობდა ხელს და დღემდე საერთო ევროპული ეკონომიკის ერთ-ერთ უძლიერეს, თუმცა წინააღმდეგობრივ ფაქტორად გვევლინება. აქვე უნდა ვახსენოთ ტყის დიდი მასივებიც. შუასაუკუნეობრივი ტყის ათვისებისა და ამოძირკვის კვალდაკვალ მისი